

საქართველოს კანონი

„ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., N-13-14) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. ამოღებულ იქნეს მე-6 და მე-8 მუხლები.
2. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. დარგში მომსახურების სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია

ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

3. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკურორტო მომსახურების სუბიექტები ვალდებული არიან დაიცვან დამსვენებლის უსაფრთხოება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.“.

4. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ტურისტული მომსახურების სუბიექტები ვალდებული არიან უზრუნველყონ ტურისტები ობიექტური, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციით:

ა) იმ პირობებისა და შესაძლებლობების თაობაზე, რასაც მათ მოგზაურობასა და დროებით განხრების მანძილზე სთავაზობს ტუროპერატორი ან ტურაგენტი;

ბ) მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, ასევე პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარება სავალდებულოა მათი თავიდან ასაცილებლად;

გ) ტურისტული პროდუქტის მწარმოებლისა და იმ სასტუმროს შესახებ (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი), რომელიც გათვალისწინებულია ტურისტული მომსახურების პაკეტით;

დ) მიმღები ქვეყნის პოლიციის, პირველადი სამედიცინო დახმარების, აგრეთვე სხვა შესაბამისი დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონების შესახებ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ტურისტის უფლებების დაცვასა და მის უსაფრთხოებას;

ე) საქართველოს უახლოესი დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონების შესახებ.“.

5. VIII თავი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი